სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

07/08/2025

MES 1 25 0000961139

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრატურის ერთწლიან საგანმანათლებლო პროგრამებზე (მოიცავს არანაკლებ 60 კრედიტს) საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხვის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 30 სექტემბრის №206/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების, სტუ-ის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე (მოიცავს არანაკლებ 60 კრედიტს) ჩარიცხვის წესის და სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2025 წლის 29 ივლისის N01-05-04/152 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2025-2026 სასწავლო წელს სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის პროცესის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით

ვბრძანებ:

1. ერთწლიან სამაგისტრო პროგრამებზე (არანაკლებ 60 კრედიტი) ჩარიცხვის პროცესის წარმართვა დაევალოს სტუ-ის სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის უფროსს ზ. ბუაჩიძეს;
2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ერთწლიან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე (არანაკლებ 60 კრედიტი) ჩარიცხვის მსურველთა რეგისტრაცია განხორციელდეს 2025 წლის 25 აგვისტოდან 10 სექტემბრის ჩათვლით (შაბათ-კვირის და უქმე დღის გარდა), სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტზე, VI კორპუსი, მე-7 სართული, ოთახი 702ა, კოსტავას ქ.N 77. (რეგისტრაციისთვის საჭირო დოკუმენტაცია იხ. დანართი -1, დანართი 2);

3. ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტს დაევალოს ჩარიცხვის მსურველთა განცხადებების და თანდართული საბუთების მიღება, პირველადი შემოწმება და წარმოდგენილი დოკუმენტების ატვირთვა ადამიანური რესურსების მართვის და საქმის წარმოების სამსახურის დოკუმენტების ბრუნვის (eflow) სისტემაში არსებული წესით;
4. ერთწლიან სამაგისტრო პროგრამაზე (არანაკლებ 60 კრედიტი) დაშვების წინაპირობის შესაბამისად გასაუბრება უცხო ენაში (იმ აპლიკანტთათვის ვინც სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობის შესაბამისად ვერ წარმოადგინა უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი არანაკლებ B2 დონის) ჩატარდეს 2025 წლის 12 სექტემბერს 10^{00} საათზე სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის ბიბლიოთეკაში, VI კორპუსი, მე-7 სართული, ოთახი 704ა, კოსტავას ქ.N 77;
5. ერთწლიან სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთა გასაუბრება სპეციალობაში დარგობრივ კომისიასთან ჩატარდეს 2025 წლის 16 სექტემბერს 10^{00} საათზე სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის ბიბლიოთეკაში, VI კორპუსი, მე-7 სართული, ოთახი 704ა, კოსტავას ქ.N77;
6. გასაუბრების შედეგები გამოქვეყნდეს 2025 წლის 17 სექტემბერს, სააპელაციო განაცხადების მიღება მოხდეს გასაუბრების ჩატარების ადგილზე 17 სექტემბერიდან 18 სექტემბრის 14^{00} საათამდე. აპელაციების განხილვა მოხდეს 18 სექტემბერს, გასაუბრების საბოლოო შედეგები (აპელაციის გათვალისწინებით) გამოქვეყნდეს იმავე დღეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ გვერდზე;
7. ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანმა მისაღები სამაგისტრო გასაუბრებების შედეგების საფუძველზე მოამზადოს შესაბამისი წარდგინება სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის შესახებ და უზრუნველყონ ამ დოკუმენტების წარდგენა სასწავლო პროცესების მართვის სამსახურში არაუგვიანეს ამა წლის 19 სექტემბრის 11^{00} საათამდე. იმავე დღეს მოხდეს მათი განთავსება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე;
8. მაგისტრანტობის კანდიდატებთან სასწავლო და საფინანსო ხელშეკრულებების გაფორმება ფაკულტეტის დეკანმა უზრუნველყოს 2025 წლის 22 სექტემბრიდან 26 სექტემბრის ჩათვლით და 29 სექტემბერს წარმოადგინოს დარგობრივი კომისიების თავმჯდომარეების მოხსენებითი ბარათების, კომისიები სხდომის ოქმის (ოქმების) და აპლიკანტთა ხელშეკრულებების საფუძველზე ჩასარიცხ აპლიკანტთა სიები (ჩარიცხვის პროექტი) სასწავლო პროცესების მართვის სამსახურში;
9. სასწავლო პროცესების მართვის სამსახურმა 2024-2025 სასწავლო წლისთვის სტუ-ის სამაგისტრო პროგრამებზე ჩასარიცხად მოამზადოს რექტორის ერთიანი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (ბრძანება) არა უგვიანეს ამა წლის 20 ოქტომბრისა;
10. განცხადებების რეგისტრაცია, არსებული წესის თანახმად, დაევალოს სტუ-ის აკადემიური რესურსების მართვის და საქმის წარმოების სამსახურის უფროსს დ. გორგიძეს;
11. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ვიცე-რექტორს თ. წერეთელს;
12. ბრძანება განთავსდეს სტუ-ის ვებგვერდზე და მისი გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის უზრუნველყოს სტუ-ის აკადემიური რესურსების მართვის და საქმის წარმოების სამსახურმა;
13. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

ვიცე-რექტორი
თამარ წერეთელი